№ 34.

# ივერია

წელიწადი პირველი

20 ოქტ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი.** I. საქართველოს მატიანე.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა: ხმები შერიგების შესახებ—საფრანგეთი—ინგლისი—ავსტრო-ვენგრია—ოსმალეთი—სერბია—ჩერნოგორია.—III ომის ამბები.—V. ივერიის კორრესპონდენციები: საგარეჯო,—ზოგიერთი რამ—კახეთი.—V. ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა—VI. წერილი ბლოხინის ფირანოვისა.

## საქართველოს მატიანე

**ტფილისი.** 10-ს ოკტომბერს ჩვენმა გუბერნიის მარშალმა მოახსენა მის იმპერატორებით უმაღლესობას მთავარ-სარდალს მილოცვა შემდეგის დეპეშით:

„არა ჩვეულებრივი კრება ტფილისის თავად-აზნაურობისა მხიარულობს მთელ რუსეთთან ერთად თქვენის იმპერატორების უმაღლესობის სახელოვანს გამარჯვებას, და ამასთანავე მას აქვს ბედნიერება მოგილოცოთ თქვენ ხელმწიფე იმპერატორის წყალობა— წმ. გიორგის ჯვარი პირველის ხარისხისა.“

ამ დეპეშაზედ მარშალს პასუხად ებოძა შემდეგი:

„გთხოვთ გადასცეთ ტფილისის თავად-აზნაურობას ჩემი მადლობა მილოცვისათვის ხელმწიფის უმაღლესის წყალობისა, რომელიც მე მეღირსა და განუცხადოთ მადლობა იმ გაუ-კაცურის და გულმოდგინე სამსახურისათვისაც, რომელიც აღმოაჩინეს ყოველთა მის წარმომადგენელთა კავკასიის სახელოვანს მხედრობაში.“

„მიხეილი.“

— ათს ოკტომბერს დანიშნული კრება თავად-აზნაურების ბანკის შესახებ არ მოხდა, რადგანაც ჯეროვანი რიცხვი წევრთა არ შეიყარა. ზედამხედველმა კამიტეტმა ახალი ვადა დანიშნა ამა კრებისათვის 15 ნოემბერსა.

— 12 ოკტომბერს ქალაქში მოიყვანეს ტყვედ დარჩენილნი ფაშები, რომელნიც ჩამოახვდინეს „ლონდონის“ სასტუმროში. 17 ოკტომბერს ის ფაშები სულ რუსეთში გაისტუმრეს.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ხმები შერიგების შესახებ.** მუხთარ-ფაშის დამარცხებამ ფეხზედ წამოაყენა დიპლომატია. თუმცა წინაც იყო კანტი-კუნტად ხმები, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, რასაკვირველია, რუსეთის მოწინააღმდეგე, ჩუმ-ჩუმად ჰქოკავს და იღვწისო მისთვის, რომ შერიგებაზედ სიტყვა რამ ჩამოეგდოთ, მაგრამ ესლა ეს ხმები უფრო გახშირდა. თქმა არ უნდა, რომ შერიგებისათვის შუამდგომლობას ინგლისი ცდილობს და ამასთანავე დიდად იღვწის, რომ ავსტრიაც მოიმხროს და ერთად მაინც შეუდგნენ ამ საქმეს. დიდი მასხვები უნდა იყოს ესლა გაბმული ევროპიის სახელმწიფოთა შორის ამ საგანზედა.

თუმცა ინგლისის მეცადინეობა ამ საგანზედ უეჭველი უნდა იყოს, მაგრამ მაინც ინგლისის გაზეთები უარს ჰყოფენ. იმათი გაზეთი Morning Advertiser-ი ამბობს, რომ შერიგების შუამდგომლობისათვისაო ინგლისი ხმასაც არ იღებსო. უპირატესნი სახელმწიფონიო აწინდელს დროს შეუფერებლად ხედიან, რომ ამ საგანზედ რაიმე

სიტყვა ჩამოაგდონო. ამასთანა უარ-ყოფა არავის არ არწმუნებს, რომ ეს ასეა. ერთსა და იმავე დროს მოხდა, რომ რუსეთის ელჩმა გრაფმა შუვალოვმა ნახა ინგლისის პირველი მინისტრი ბიკონსფილდი ბრაიტონში, ავსტრიის ელჩმა ბარონ ბეისტმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი დერბი და ავსტრიის ელჩი გრაფი ზიჩი მიღებულ იქმნა ხონთქარისაგან საიდუმლოდ. ამ ამბავმა, რომელიც, რასაკვირველია, შემთხვევას არ მიეწერება, ცხადად დაანახვა ყველას, რომ ფარდას იქით რაღაც საქმეები მზადდება და ეს საქმეები აღმოსავლეთის შესახებია.

ბევრს ჰგონია, რომ ეს ამბავი სულ შერიგების თაობაზედ არისო. ამის საბუთად თურმე ისა აქვთ ამის მთქმელთა, რომ სტამბოლშიო ამ ჟამად შერიგებისათვის მოწადინებულნი არიანო. ერთის ნემეცურის გაზეთის Kólnische Zeitung-ის კორრესპონდენტი 7 ოკტომბერს აი რას იწერება ამ საგანზედა: „სულთანიო თავის დღეში ისე მოწადინებული არ ყოფილაო შერიგებისათვის, როგორც ეხლაო. მას უნდაო შერიგება მოახდინოსო, რომ მას შემდეგ ხელახლად აღიდგინოს ის უფლება მაჰმადიანებზედ, რომელიც ამას წინად ჰქონდაო. სულთანს ძლიერ ეშინიანო კონსტიტუციისა და მიტხად-ფაშის მომხრეთაგანაო და ამასთანავე სულთანის კარსაც ძალიან ჰსურსო სულთანის ძველნი უფლებანი აღდგენილ იქმნან მიდხად-ფაშის მომხრეთა წინააღმდეგო. ამისგამო სულთანი მზად არის შერიგებაზედაო, თუ შერიგების პირობანი შესაფერებელნი იქმნებიანო და ხალხის სურვილს დააკმაყოფილებენო. ჯარსაც და ხალხსაც ისე ჰსურთ მორიგდნენო, რომ მაჰმადიანები და ქრისტიანნი გათანასწორებულ იყვნენ კანონის წინაშე; რომ ოსმალეთი დაუმოკიდებლად დარჩესო და რუსეთი მის საქმეში აღარ გაერიოსო. სულთანი ამაზედ ნაკლებსაც დაჰსჯერდებაო, ამბობს ბოლოს კორრესპონდენტი.“

თუ ეს ასეა, მაშინ საკვირველი არ არის, რომ ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერვერ-ფაშას ამ ახლო-ხანში ბედი უცდია და გერმანიის ელჩთან პრინც რეისთან ლაპარაკი ჰქონია შერიგების შესახებ. მაგრამ პრინც რეისს შორს დაუჭერია და უთქვამს, რომ სულ ამაოა ზოგიერთთა სახელმწიფოს მეცადინეობა ამ საგანზედაო; მე გირჩევთო რომ ოსმალეთმა ამაზედ ხმაც არ მოიღოსო, ვიდრე ომი თავისას არ იტყვისო.

რომ პრინცი რეისი ამ შემთხვევაში თავისის მთავრობის სურვილისა მებრ მოქცეულა, ამას თუ მართალია, გვიმტკიცებს МОСКОВСКІЯ ВѢДОМОСТИ-ის კორრესპონდენტი, რომელიც ბერლინიდამ მოგვითხრობს შემდეგს: „მე ამ შერიგების ხმებმა გამაკვირვაო და ამის გამო დღეს წაველი და ვნახეო ერთი უპირატესი სახელმწიფო კაცი, რომელმაც (იქნება მხოლოდ ამან) იცის ყოველივე საიდუმლო აწინდელის პოლიტიკის მდგომარეობისა. იმან მითხრაო: „ამდენჯერ დამარხული და ამდენჯერვე ხელახლად გაცოცხლებული კავშირი სამთა იმპერატორთა (რუსეთისა, ავსტრიისა და გერმანიისა) დღესაც არსებობსო. ღვთის წყალობით, იგი აღმოსავლეთის არეულობიდამ უფრო განძლიერებული გამოვაო. ამ მიზეზით ფიქრადაც მოსასვლელი არ არისო შერიგებაზედ სიტყვის ჩამოგდებაო ვისგანმე. ზალცბურგში გერმანიამ და ავსტრიამ პირობა დასდესო ერთმანეთში, რომ წინააღუდგნენ, თუ ინგლისი ამ საგანზედ წინადადებას შემოიტანსო, ერთის სიტყვით, უარ ჰყონო ყოველივე მეცადინეობა შერიგების თაობაზედ იმ დრომდე, ვიდრე თვით მეომარნი ამას არ მოიწადინებენო. ამით გვინდაო დავიხსნათ რუსეთი დიპლომატიის მეტიჩარაობისაგან. ავსტრია და გერმანია არ გაერევიან და არც ურევიან სხვათა სახელმწიფოთა მეცადინეობაში შერიგების შესახებ, მაშასადამე, თუ მაგ საგანზედ სიტყვა რამ არის ჩამოგდებულიო სხვისაგან, იმ სიტყვას არავითარი მნიშვნელობა და შედეგი არ ექმნებაო.“

—

**საფრანგეთი**. არჩევანი საფრანგეთში გათავდა, მაგრამ ამით საფრანგეთის გული ჯერ კიდევ დამშვიდებული არ არის. რესპუბლიკამ თუმცა გაიმარჯვა ახირებულის მაკ-მაგონის ახირებულს პოლიტიკაზედ, მაგრამ ხვალისა ყველას ფიქრი და შიში აქვს. არ იციან რა გზას დაადგება დამარცხებული მაკ-მაგონი და მისი თილისმით სავსე სამინისტრო. რესპუბლიკის გაზეთები ერთხმად ყვირიან და სძრახავენ სამინისტროს, რომ მინისტრები, ასე აშკარად უარ-ყოფილნი და არ-სურვებულნი ხალხისაგან, არ ჰსტოვებენ თავიანთს თანამდებობასა. ამ ხმებზედ სამინისტროს გაზეთმა Assemblée National 5/17 ოკტომბერს გამოაცხადა, რომ მინისტრებს განზრახვა ჰქონდათო, რომ გადამდგარიყვნენო და ამაზედ საერთო თხოვნა მიეცათო მაკ-მაგონისათვის. ამბობენ, რომ და-

პარკი იყოს სამინისტროს მეთაურობა ან დიუფორს და ან ღენერალს ბერტეს მიეცესო. მაგრამ ბოლოს არჩევისა შემდეგ, ეს საქმე ადრეულად იცნესო და დრომდე გადაჰსდესო.

ამათი რესპუბლიკელთ გაზეთების ყვირილიცა და სამინისტროს გაზეთის Assemblée National-ის თვალთმაქცობაც. ბროლისა და მის ამქარს ეგრე ადვილად ვერ დაათმობინებთ მინისტრობას მით უფრო, რომ ძალიან მოწადინებული არიან თავიანთის პოლიტიკით დაიხსნან საფრანგეთი უბედურობისაგან. ხალხი ეუბნება, არ გვინდა თქვენი ძალად ცხონებაო, მაგრამ ისინი თავისას ჰსჩადიან: შენ შენის თავისა არა გესმის რაო, ჩვენ უკეთ ვიცითო რაც გიხსნითო. ერთის სიტყვით, საქმე ისე მიდის საფრანგეთში, რომ, ვინ იცის, იქნება მაკ-მაგონის ოჩნობამ და მის სამინისტროს გაქირობამ საქმე სისხლის ღვრამდინაც მიიყვანოს. გამოჩენილი მეჟურნალე, მაკ-მაგონის შინა-კაცი, კლემან დიუვერნე გაზეთს Soir ში ამბობს, რომ მარშალი მაკ-მაგონი იმავე გზაზედ წავაო, რა გზაზედაც აქამდე ვიდოდა, არავის არაფერს არ დაუთმობსო. თუ ნაწილი რესპუბლიკელ დეპუტატების არ მიემხრობა მაკ-მაგონის პოლიტიკასო, სწორედ ომი ასტყდება შინაურობაშიო. ამასაც უმატებს უფ. დიუვერნე, რომ მაკ-მაგონი იქნება მხოლოდ მაშინ გადადგესო, თუ კონსერვატორნი სენატორები მაინც ამის მხარეს არ დაიჭერენო. ხოლო საფიქრებელია, რომ არც რესპუბლიკელნი მიემხრობიან მაკ-მაგონსაო და მით არ აემოჩინებიან კლერიკალურს პოლიტიკას მარშლისასა, და არც კონსერვატორნი სენატორები მოინდომებენ მარშლის აყოლასაო.

მაშასადამე, დიუვერნეს სიტყვით, გამოდის, რომ საქმე ხმალზედ უნდა მივარდეს და ერთმანეთის ჟლეტაზედ. იმედია რომ საქმე ამ განწირულებამდე მაინცა და მაინც არ მივიდეს. ამ იმედს იძლევიან ზოგიერთი გაზეთები. მაგალითებრ „Kölnishe Zeitung"-ის კორრესპონდენტი იწერება, რომ მარკიზ-დარკურმა, მაკ-მაგონის ავან-ჩავანმა მდივანმა (სეკრეტარმა) ნიშნობლივ მითხრაო, იქნება მაკ-მაგონმა ახალი სამინისტრო შეადგინოსო და მინისტრების მეთაურად დიუფორი (ზომიერი რესპუბლიკელია) დააყენოსო. თვითონ მაკ-მაგონსაც უთქვამს ერთის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელისათვის, რომ თუ ვინიცობაა რესპუბლიკელნი გაიმარჯვებენო, ახალს სამინისტროს შევადგენო და არავითარს არეულობას არ მოვახდენო. გაზეთი „Temps", რომლის სიტყვანი ყოველთვის უფრო დასაჯერნი არიან, ამბობს, რომ სამინისტროში ცვლილების მოლოდინიაო. ამბობენო ჰერცოგი დეკაზი და მინისტრი პარი სამსახურიდამ გამოდიანო. ამასაც ამბობენ გაზეთები, რომ მაკ-მაგონს ჰერცოგი ოდიფრიე-პაკე მიუწვევია არჩევის საკითხავად. ესეც ცვლილების ნიშანია, თუ ეს ყოველივე მართალია, ჰსჩანს მაკ-მაგონს ჰსურს მორიგება რესპუბლიკელებთან, ესე იგი, ახალის პალატის უმრავლესობასთან.

ერთის სიტყვით, მაკ-მაგონს მარტო ორი გზაღა დარჩომია: ან უნდა დაემორჩილოს რესპუბლიკელთა და იმათს პოლიტიკას წინ გაუძღვეს, ან არა და უნდა ხელახლად გადააყენოს ახალი პალატიცა და მით სისხლის ღვრა ჩამოაგდოს ფრანციელთ შორის. თუმცა გაზეთები პირველის იმედს იძლევიან, მაგრამ ჩვენ მაინც ვეჭობთ. მაკ-მაგონი სალდათი კაცია, უფრო მუშტზედ იყურება, ვიდრე სხვა რამეზე. და ძნელად საფიქრებელია რომ ბედს დაჰმორჩილდეს. აი რა საბუთით ვამბობთ ამას. ეხლა ახალს პალატში 316 რესპუბლიკელნი არიან, დანაშთენთა 17 დეპუტატთაგან, რომელიც ჯერ არ ამოურჩევიათ, 10 რომ კიდევ რესპუბლიკელი შეხვდესთ, მაინც რესპუბლიკელი 326 დეპუტატზედ მეტი არ ეყოლებათ პალატაში. ამ სახით რესპუბლიკელთა ხმა ბევრი-ბევრი ას ოცის კენჭით გადააჭარბებს რესპუბლიკის მტრებთა, რომელთაც 199 დეპუტატი ჰყავთ ახალ პალატში. ძველს პალატში რესპუბლიკელთა ხმა ჰსჭარბობდა ორასის კენჭით. თუ მაშინ როცა ამისთანა უმრავლესობა რესპუბლიკელთ მხრივ იყო, მარშალმა მაკ-მაგონმა გაბედა და არ დაემორჩილა პალატას და გადააყენა, ეხლა როცა ეგ უმრავლესობა შემცირდა, ორასიდამ ას-ოც კენჭზედ დადგა, უფრო საფიქრებელი არ არის, რომ მაკ-მაგონი არ დაემორჩილება!...

თუნდ ეგეც არ იყოს, თვით არჩევანმა გადაწყვეტილად არა თქვა რა. თუმცა მაკ-მაგონი მაინცა და მაინც არ გადურჩა რესპუბლიკელთ უმრავლესობას, მაგრამ ეგ უმრავლესობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, შემცირდა მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მტრის დასმა კი პალატში იმატა. მაშინ რესპუბლიკელთ პალატში ორასი კაცი მეტი ჰყავანდათ, ეხლა ას ოციღა არიან მეტნი. ამ ამბავმა მაკ-მაგონს და მის სამინისტროს უფრო ფრთები უნდა შეასხას, ჩვენის ფიქრით. მაკ-მაგონს, იქნება უნდოდეს

კიდეც მორიგება, მაგრამ საქმე იმაშია საიდამ და როგორ მორიგდეს! ამბობენ, მორიგება შეიძლება მოხდეს, თუ რესპუბლიკელთა და მის მოწინააღმდეგეთა შუაგულთა დასთა ერთმანეთში მოარიგებენო და მათგან პალატის უმრავლესობას შეადგენენო. ხოლო აი შვიდი წელიწადია რაც ამას ჰსცდილობენ, მაგრამ ამ შუაგულთა დასთა ერთს აზრზედ დაყენება ვერას გზით ვერ მოახერხეს. ეხლა რაღა იმედი უნდა იყოს, როცა ამ ორთა დასთა შორის უფრო გაბოროტებული მტრობაა დათესილი!

ერთის სიტყვით, ხვალინდელის დღისა ნამდვილი არავინ იცის და ყოველივე საეჭვოა.

ესეც თუ ისე, ჯერ-ჯერობით არც მაკ-მაგონი იძვრის თავისის ტახტიდამ და არც მისი სამინისტრო, რომელიც შესდგომია თავისებურს ფაცა-ფუცს დეპარტამენტების არჩევანის გამო. 22-ს ოკტომბერს დანიშნულია ეს არჩევანი და ეხლა ამაზედ არის მიქცეული ყურადღება სამინისტროსი და თვით რესპუბლიკელებისაც. რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ 1879 წელს ერთი მესამედი სენატის წევრთაგან უნდა გავიდეს და მათ მაგიერ ახალნი ამორჩეულ იქმნან. ამორჩევლნი მათნი, კანონით, ისინი იქმნებიან, ვისაც 22 ოკტომბერს ამოირჩევენ დეპარტამენტების და ოლქის საბჭოებში წევრად. რადგანაც 1880 წ. მაკ-მაგონსაც პრეზიდენტობის ვადა უსრულდება, და ამას შემდეგ ახალი პრეზიდენტი უნდა ამოირჩიონ და რადგანაც სენატმა და პალატმა ერთად უნდა მოახდინონ ეს ამორჩევა, ამიტომაც ადვილი მისახვედრია, რომ როგორც რესპუბლიკელნი, ისე რესპუბლიკის მტერნიც ამ ჟამად ძალიან ეცდებიან, რომ თავ-თავისი მომხრენი გაიყვანონ დეპარტამენტების არჩევანში. ამ სახით, სამინისტროსა და რესპუბლიკელთ შორის ბრძოლა კიდევ შეუწყვეტელ იქმნება ჯერხანად 22-ს ოკტომბრამდე. ამ დეპარტამენტების არჩევანზედ, ჩვენის ფიქრით, დამოკიდებული იქმნება, ისიც თუ როგორ მოექცევა სამინისტრო ახალს პალატას.

ეს განუსაზღვრელი და წინად-უცნობელი გარემოება საფრანგეთისა გარედაც საქმეს უფუჭებს საფრანგეთს. თუმცა იტალიას და გერმანიას უხარიანთ, რომ, ცოტად თუ ბევრად, რესპუბლიკელთა გაიმარჯვეს, მაგრამ მაინც ეჭვში არიან და მაინც საფრანგეთის სამინისტროს ჰსწამობენ, რომ მას და კლერიკალებს კუდი-კუდზედ აქვსთ გადაბმული. ამის გამო, ეს ორი სახელმწიფო, რომელთათ ვისაც კლერიკალების სადმე გაძლიერება უფრო საფრთხილებელია, ყოველს შემთხვევისათვის უფრო ურთიერთს უახლოვდებიან.

— რუსულ გაზეთში „Сѣверный Вѣстникъ"-ში ჰსწერია: „პარიჟი 9-ს ოკტომბერს საღამოზედ. ნამდვილად სარწმუნო წყაროდამ გვარწმუნებენ, რომ დიუფორი ლეონ-სე, კრისტოფლი, ვადდინგტონი და ლეონ-რენო მოუწვევია მაკ-მაგონს მინისტრებად, მაგრამ ამათ უარი უთქვამთ. ამათ გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ გვინდაო კანონ-მდებელთ პალატის თანახმად ვიმოქმედოთო და იმ აუცილებლის პირობითაო, რომ მოხელენი, 16 მაისს შემდეგ გადაყენებულნი, სულ გადაყენებულნი იქმნან სამსახურიდამაო და ამასთანავე წინდრად გქონდეს რამეო, რომ მომავალში კიდევ ფათერაკი რამ არ მოგვიხდესო. ლეონ რენოს თავისით დაუმატებია, რომ მე გამბეტას და სხვა რესპუბლიკელთ მოთავების დაუკითხავად არას საქმეს ხელს არ მოვკიდებო. ამბობენ, რომ მთავრობა ხელახლად გადააყენებსო პალატს, თუ შემოსავალ-გასავალის ანგარიშს არ დაამტკიცებსო. ხუთშაბათს ინგლისის გაზეთები აკრძალულ იქმნენ. ამაში ხედვენ ცუდს ნიშანს არეულობისას. ინგლისნი პარიჟიდამ გადიან.

—

**ინგლისი.** საკვირველი რამ არის ინგლისი! გამოვა ერთი მინისტრი და სადმე იტყვის მთავრობამ ეს უნდა ჰქმნასო; ახლა მეორე მინისტრი წამოდგება სადმე და იტყვის თითქმის მის წინააღმდეგს. მთავრობას ის კი არა, — ეს უნდაო. ინგლისელნი საქმიანი და ჭკვიანი ხალხნი არიან, ისინი უაზროდ ასე ღობე-ყურეს არ მოედებიან, უმიზეზოდ ასე წინ და უკან სიარულს არ დაიწყობენ. ჩვენის ფიქრით, ეს ამიტომ მოხდება ხოლმე, რომ ინგლისის მინისტრები დიდად მორჩილნი არიან ხალხის სურვილისა და ძნელად გაბედამენ, რომ ხალხის დაუკითხავად იმოქმედონ რამე. ამიტომაც თუ სადმე ერთი მინისტრი ერთს ამბობს და მეორე-მეორესა, ამით ის უნდათ შეიტყონ, ხალხი ან ერთს აზრს როგორ მიიღებს, ან მეორეს, რომ სახვალიოდ სამინისტროც ისე მოიქცეს. რომ ინგლისში ხალხი არც ერთის მინისტრის სიტყვას უყურადღებოდ არ დააგდებს ხოლმე, რომ ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა მაშინვე ასწონს და დასწონს ხოლმე თვითვეულს ამ გვარის სიტყვას; რომ ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ნამდვილი და დაუბრკოლებელი გა-

მომთქმელია ხალხის სურვილისა, აზრისა—ეს ყველამ იცის. სხვაფრივ ძნელად თუ აისხნება ის შემთხვევა, რომ ერთისა და იგივე მთავრობის წევრნი, ერთსა და იმავე საგანზედ საჯაროდ ორნაირს აზრს გამოჰსთქმენ ხოლმე, მერე სადა? ინგლისში, სადაც თითქმის შეურყეველ წესად არის მიღებული, რომ სამინისტროს წევრი, თუ რაშიმე სამინისტროს აზრს არ ეთანხმება, უნდა გადადგეს ხოლმე.

აი ესლაც მოხდა ამისთანა შემთხვევა ინგლისშია. როცა ხმა მივიდა, რომ მცირე აზიაში რუსებმა გაიმარჯვეს, ფოშტის მინისტრს ლორდს მანნერზს წარმოუთქვამს საჯაროდ სხვათა შორის შემდეგი სიტყვა: „ინგლისის მთავრობა მზად არის შეამდგომლობა გასწიოს ომის მოსასპობლად. შესაძლოა მოისპოს ომი ისე, რომ ორივე მხრის სამხედრო სახელიც დაკმაყოფილებული იყოს და ევროპიის ინტერესებიც ჯეროვანად და სამართლიანად დაცულ იქმნან“.

მეორე მინისტრს სალისბერს, თითქო ამის პასუხად, ბრადფორდში უთქვამს, რომ ინგლისი, რასაკვირველია, დიდად ეცდება რომ მეომარნი შეარიგოსო, მხოლოდ ეგ ცდა მაშინ იქნება საიმედო, როცა ან ერთი მხარე საბოლოოდ გაიმარჯვებს მეორეზედაო, ან როცა ერთს რომელსამე მხარეს სრულად შემოაკლდება ბრძოლისათვის ღონეო. ინგლისს, სალისბერის სიტყვით, არავინ არ დაუშლის რჩევა რამ მიჰსცეს ან ერთს მხარეს, ან მეორესა, მაგრამ ამაზედ მეტის იმედი კი ნუ ექნებაო, რადგანაც ინგლისი საომრად უღონო და სუსტიაო. ვის შემწეობით შეუძლიან ინგლისს თავის რჩევას უკან ზარბაზნები ამოუფაროსო? ევროპაში მარტო ერთი ავსტრიააო, ამბობს სალისბერი, რომელიც ჩვენ მხარეს დაიჭერდაო, მაგრამ ერთი რომ მასაც შინაურობაში თავისი სატკივარი აქვსო, მეორე რომ აღმოსავლეთის საქმეში ჩვენი ინტერესები და მისი ინტერესები ერთად თავს არ მოდიანო. ყოველ ამის გამო ლორდ სალისბერი იმ აზრზედ დგას, რომ ისა სჯობია ინგლისმა ამ ხანად მეგობრობის მეტი არა გამოიჩინოს რა მეომართადმი და შერიგების ცდას არ შეუდგესო.

ერთის სიტყვით, ერთი მინისტრი ამბობს ესლა დროა მეომართა შუა ჩავდგეთო და ომი მოვასპობინოთო, მეორე ამბობს ჯერ ადრეაო; დროას დავაცადოთო რომ, რომელიმე მხარემ ან ძალიან გაიმარჯვოსო, ან კიდევ ღონიდამ დაიცალოსო.

---

**ავსტრი-ვენგრია.** ლორდ სელისბერის სიტყვისა არ იყოს, მართლადა, ინგლისი არა გვგონია თავის გულისთქმას აჰყვეს უავსტრიოდ. ავსტრია კიდევ იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ერთი ნაწილი თავის ქვეშევრდომების (ვენგრიელები) ოსმალოსაკენ ეწევიან და თვითონ ავსტრიის საკუთარი ინტერესები კი იძულებულ ხდიან ავსტრიას არ გადუდგეს სამთა იმპერატორთა კავშირსა. არავინ იცის როგორ გადურჩება ავსტრია ამ განსაცდელსა და როცა საქმე გაჭირდება საით გაიწევს. ავსტრიის საქციელზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული, არამც თუ აღმოსავლეთის საქმეში, არამედ დასავლეთის, ესე იგი, მთელის ევროპიის საქმეშიაც. აი რას იწერება ერთის რუსის გაზეთის კორრესპონდენტი ვენიდამ: „დღეს საქმე შემდგარია არა მარტო რუსეთისა და ოსმალოს შორის ბრძოლაზედა. თვალწინ გვიდგა სხვა ახალი გარდასავალი, სხვა ახალი ბრძოლა, რომელიც უნდა მოედოს, სხვა და სხვა ისტორიულთ მიზეზისაგამო, არამც თუ ევროპის აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთსაც. ეგ ბრძოლა ასტუდება ახალისა და ძველის ევროპის შორის. ამ ბრძოლაში ჩართულ იქმნებიან ერთნაირად ინტერესები გერმანიისა, იტალიისა და რუსეთისა სლავიანებითურთ.“

ზოგიერთი ჩეხის გაზეთები (ჩეხები სლავიანები არიან, ავსტრიის ხელქვეითნი) ამბობენ: „ჩეხები რუსებისაგან არასოდეს არ უნდა მოელოდნენ, რადგანაც რუსეთი ამ ომის გამო ისე დაუძლურდება, რომ რამდენსამე წელს ღონეს ვერ შეიკრეფს. გერმანიამ შეატოპინა რუსეთს ამ ომში მაშინ, როდესაც რუსეთი სრულად მოუმზადებელი იყო. ბისმარკს უნდოდა ამით აქოთებინა ევროპიის საქმეები და ამ აქოთებასა და არეულობაში გერმანიისათვის რასმეს გამორჩენილიყო. თუმცა თვითონ ავსტრიის იმპერატორს კეთილი სურს რუსეთისათვის, მაგრამ იძულებულია ყური ათხოვოს ვენგრიასაც, რომელიც რუსეთთან ომის ატეხისათვის აგრე მედგრად იღვწის. ხოლო გერმანია, რაც უნდა იყოს, ნებას არ მიჰსცემს ავსტრიას, რომ ომში ჩაერიოს. ამ გარემოებით მოცული ჩეხის ხალხის არსებობა დიდს განსაცდელშია და თვით რუსეთისათვისაც საშიშარია გერმანიის ასე გაძლიერება. რუსეთმა ან მალე უნდა გაიმარჯვოს, ან არა და უნდა მალე მოურიგდეს ოსმალსა. თუ ან ერთი მოხდა ან მეორე, დიდად სასარგებლო იქნება რუსეთისათვისაც

და თითქმის ერთობ სლავიანებისათვისაც. მაგრამ სლავიანების სარგებლობა კი დიდად საიმედო არ არის, რადგანაც გერმანია არას გზით არ შეიწყნარებს სლავიანობის გავრცელებას, ნამეტნავად ავსტრიაში. რუსეთი უნდა უფთხილდეს და ნემეცობას ფეხი არ გაადგმევინოს თავის დასავლეთის მხარეში,—რუსეთმა უნდა შეირიგოს პოლში. ეგ შერიგება უფრო ბევრს სიკეთეს მოუტანს სლავიანებს, ვიდრე ბოლგარიის დაპყრობა."

ეჭვით მაყურებელნი დიპლომატები დიდს ფაცაფუცს შეუდგნენ მის გამო, რომ იტალიის პალატის პრეზიდენტი კრისპი ამ ჟამად, ვენაში მივიდა, მოიარა პარიჟი და ბერლინი. ამას, რასაკვირველია, საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ. თვითონ კრისპი კი თითქმის ეფიცება, რომ მე ჩემად მოვსულვარო, არავისგან არაფრის მინდობილობა არა მაქვსო, ხოლო მე მსურდა ევროპისათვის დამეხედნაო და ზოგიერთა დიპლომატების აზრი მეცნოო აწინდელის პოლიტიკის მდინარეობის შესახებ. რასაკვირველია კრისპის სიტყვები არავის არა სჯერა და ჰფიქრობენ რომ ამისთანა კაცის სიარული ავსტრიაში უმიზეზო არ იქნებაო. ყველა ეს წვრილი და სხვილი ამბები ერთად მოგროვილი რადასაც უქადის ევროპასა და ამ ქადილს მომავალი გამოაჩენს.

---

**ოსმალეთი.** ნემეცურს გაზეთში მოყვანილია სტამბოლიდამ ერთი კორრესპონდენცია, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: „როგორც სულთანის სასახლეში, აგრეთვე ოსმალოს სამინისტროში როგორღაც იმედი გადაჰსწყვეტიათ. ამ უიმედობამ, რასაკვირველია, შერიგების სურვილი წამოაყენა და აქ მოწადინებულნიც არიან, რომ ეს შერიგება ჩამოვარდეს ევროპიის სახელმწიფოთა შუამდგომლობით. ნამდვილად ცნობილია, რომ სულთანს აბდულ გამიდს და მისს დიდს ვეზირს ავსტრიის და გერმანიის ელჩითათვის გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ამ ომს ბოლო რითმე მოეღოს."

---

**სერბია.** ბელგრადის კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთის Times-ისა იწერება შემდეგს: თუმცა სერბიის მთავრობამ შეუთვალა ოსმალოს, რომ ომში მონაწილეობას არ მივიღებო, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ სერბია ჯერ მზად არ არის საომრად და ელის მარჯვეს შემთხვევას, რომ ოსმალეთს ომი გამოუცხადოს. თუ ნამეტნავად რუსები პლევნას აიღებენ, ან ოსმან-ფაშის ჯარს დაამარცხებენ, სერბია მაშინვე ომს დაუწყებს ოსმალეთთანა.

---

**ჩერნოგორია.** სტამბოლიდამ იწერებიან 4-ს ოკტომბერს, რომ მეჰმედ ალის მიანდესო—ჩერნოგორიასთან შერიგების თაობაზედ მოლაპარაკებას შეუდგესო იმ პირობით, რომ მთავარს ნიკოლოოზს დაუთმოს ის ნაწილი ჰერცოგოვინისა, რომელიც ომით დაპყრობილი აქვსო. ეს იმისათვის სურსო ოსმალეთსაო, რომ ჰერცოგოვინიდამ და ალბანიიდამ მოცლილი ჯარი სერბიის საზღვარს მიჰმართოსო. ხმა არისო, რომ ჩერნოგორია სპუჟსა და პოდგორიცზე დაცემას აპირობსო.

---

## ომის ამბები

გაზეთის „Кавказъ"-ის კორრესპონდენტი კიურუკდარიდამ 15 ოკტომბერს იწერება: „ყარაიალის მოცემაზედ ლაპარაკია გამართული. 13 ოკტომბერს მოვიდნენ იქიდამ გამოგზავნილნი დესპანები. ყარსის მცხოვრებთა სურთ ყარსის მიცემა; მეციხოვნეთა უფროსს (კამენდანტს) ვერც ჰო გაუბედნია და ვერც არა.

ტერღუქასოვი ჰსდევნის იზმაილ-ფაშას და ყარაკილისამდე მივიდა. გეიმანი გადვიდა სოღანლუღს, ისწრაფის აზრუმის გზა ოსმალოთ გადუჭრასო."

— იგივე კორრესპონდენტი იწერება 15 ოკტომბერს გუმბრიდამ (ალექსანდროპოლიდამ): იზმაილ-ფაშა თავისის ჯარით მირბის არზრუმისაკენ და გზა-და-გზა ჰსტოვებს და ახდენს რამდენიმე მილიონის სურსათსა და სხვა სამხედრო სახმარისსა. ტერღუქასოვი ზედ ფეხის გვალზედ მისდევს. ჩვენი ცხენოსანი ჯარი ბაიაზეთში შევიდა, მრავალი თოფი და სურსათი იპოვეს. 12 ს ოკტომბერს ტერღუქასოვმა ღამე გაატარა სურფ-ოჰანესში და მეწინავე ჯარმა კი ყარაკილისში. გეიმანი თავისის ჯარით 11-ს ოკტომბერს წავიდა და ისწრაფის გზა გადუჭრას სოღანლუღზე იზმაილ-ფაშას. მუხთარ-ფაშა არზრუმშია. მისი გადარჩენილი ჯარი და მასთან კუნდუხოვი და ყაზიმაღომა (შამილის შვილი) ზივინშია. ყარსი სულ გარ-შემორტყმულია ყოველმხრივ, ტელეგრაფი, არზრუმისა და ყარსის შუა, აშლილია. დიდი მზადებაა რომ

ყარსს ზარბაზნის სროლა დაუწყონ. გუშინ ოთხი ბატალიონი ოსმალო გამოვიდა ყარსიდამ, ჩვენის ჯარის გარღვევა უნდოდა და გასვლა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. თასხთისას და ყაგიზმანის სანჯაკმა მორჩილობა გამოაცხადა.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება ვაზინკევიდამ 17 ოკტომბერს: კორპუსის წინამძღვარს ეს-ეს არის მოუვიდა მოხსენება, რომ ღენერალი ტერ-ღუქასოვი შეჰყრია ღენერალს გეიმანს კეპრიკეაში და ორნივ ერთად ზედ ფეხის კვალზედ მიჰსდევენ იზმაილ-ფაშას. დღეს ღამით იდგომილებენ ჰასან-კალაში, ოც და ათს ვერსტზედ არზრუმიდამ.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება კიურუკ-დარიდამ 18 ოკტომბერს: „ქალაქი ყაგიზმანი უომრად დაიპყრა ჩვენმა ქურთის მილიციამ აშრაფ-ბეგის წინამძღოლობით. ამ ქალაქის სანჯაყში ჩვენი მმართველობა დაარსდა. ყარსთან მოლაპარაკება შევწყვიტეთ, უფრო მჭიდროდ გარს შემოვერტყენით. ზარბაზნის სროლა დავუწყეთ.“

— მთავრობის დეპეშები 16 ოკტომბრიდამ გვატყობინებენ, რომ ტერღუქასოვის ჯარი, რომელიც 6 ოკტომბერს უკან გამოუდგა, ჰსდევს იზმაილ-ფაშის ჯარს, 13-ს ოკტომბერს ყარაკილისში მისულა და იზმაილ-ფაშა კი ამ დღეს ზეიდეკენში გასულა. თიქმიდამ 10-ს ოკტომბერს ჩვენის უმთავრესის ჯარიდამ ცალკე ჯარი ღენერალ გეიმანისთვის მიუნდვიათ და გაუგზავნიათ სოღანლუღის იქით ხოროსანისა და კეპრიკეისაკენ.

დაღესტანში გამდგარნი ჯერ კიდევ მაგარზედ დგანან; 5-ს ოკტომბერს პოლკოვნიკის ნაკაშიძის ჯარს დაუმარცხებია დიდ-ძალი რიცხვი გამდგართა. 16 ოკტომბერს ჭამალალის ხეობაში პოლკოვნიკის ტიხონოვის ჯარს კვლავ დაუმარცხებია გამდგარნი. სამურის ოლქაში ესლა უფრო გაძლიერდა აჯანყება, რადგანაც ამ ჟამად ავდრებისაგამო გზები გაფუჭებულია და ჯარისათვის გავლა ძნელია. ახლად შედგენილი ჯარი რიცხვით რვა ბატალიონი თვით ღენერალ-ადიუტანტის თავად მელიქიშვილის წინამძღვანობით 8-ს ოკტომბერს შურიდამ მთებისაკენ გაემგზავრა.

დუნაიიდამ და ბალკანიდამ მხოლოდ შემდეგი შესანიშნავი ამბები მოვიდა.

მთავრობის დეპეშა 13-ს ოკტომბრიდამ გამოგზავნილი ტუჩენიციდამ გვაცნობებს შემდეგს:

— გუშინ ღენერალმა გურკომ თავისის ჯარით, რომელშიაც გვარდიაც ერია, ათის საათის საშინელის ბრძოლის შემდეგ აიღო ძალიან გამაგრებული სანგალი ოსმალოსი გორნი დუბნიაკის და ტელეშინის შუა და სოფიის გზა-ტკეცილზედ (შოსსეზედ) გამაგრდა. ტყვედ დარჩა ახმედ-ავნი-ფაშა თავისის შტაბის უფროსით, ბევრი აფიცერი, სამი ათასამდე ჯარის-კაცი და მთელი პოლკი ცხენოსანის ჯარისა; წაართვა ოთხი ზარბაზანი, ბევრი თოფი და ტყვია-წამალი. ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩის ჯარში თარეშობის დროს მოჰკლეს თავადი სერგეი მაქსიმილიანისძე, რომელსაც ტყვია თავში მოხვდა და იქვე მკვდარი დაეცა.

— მთავრობისავე დეპეშა გვაცნობებს პორადიმიდამ 14 ოკტომბერს: „გუშინ მთავარ-სარდალმა დაიარა ნაომარი ადგილი გორნი დუბნიაკთან და გასინჯა ჩვენგან დაპყრობილი სიმაგრენი. ჯარი აღტაცებულია თავისის სახელოვანის გამარჯვებისა გამო 12-ს ოკტომბერს. ყოველი, ღენერლიდამ მოკიდებული ჯარის-კაცამდე, მოქცეულა ისე, როგორც გმირი. ჩვენი ზარალი ათას კაცამდეა, ოსმალთა ზარალიც მაგ რიცხვამდეა. ტყვედ დარჩენილი აფიცრები ოთხმოცია, დავლად დაგვრჩა ბაირაღი და ოთხი ზარბაზანი.

---

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**საგარეჯო.** 1 ოკტომბერს. საგარეჯოში და მის ახლო-მახლო სოფლებში საშინლად არის გავრცელებული ციებ-ცხელება, და ყოველ დღე სამ-ოთხი ხდება მსხვერპლად ამ სატკივრისა. ამასთანავე არის გავრცელებული ყვავილი და წითელა. ეს უფრო მუსრს ავლებს ყმაწვილებს; მაგრამ ამ ხალხის საქმე გასაკვირველია: მცრელი თურმე ყოველ წლივ კარი-კარს დაიარება, მაგრამ არ აცრევინებენ. ამითი ხომ ამ უბედურებას თავიდან აიცდენდნენ? რად უშურებენ აცვრას ასე ეჭვით და შიშით, ახლაც არ არ მეყურება.

რაც შეეხება ციებ-ცხელებას, ნახევარი ხალხი მეტი ავად იმყოფება ამ სენით. გზაზე რო გაიაროთ რამდენს ნახავთ სოფელ საგარეჯოში ჯოხზე დაბჯენილ გლეხებს ლასლასით მატარებლებს. თითქმის ყო-

ზედ დღე გხედავ, მოდიან შაქარა მდივანოვის დუქანში (ღმერთმა უშველოს ამის მეტს არავის აქვს ქინაქინი,) კიდულობენ ქინაქინს, ჭყრიან არაყში და ისე სმენ, ზოგი თითო დალევით რჩებიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც ახლად არიან გამხდარნი ავად, ზოგნი კი საყვედურს ეუბნებიან: „აცო შენმა წამალმა არ გასჭრა; ჩვენებიანთ ბიჭი კი მორჩა და მე კი არაო.“ ასე ჰგონიათ უსათუოდ ერთი დალევა ყველას გაასაღებსო. აი ამისთანა ამბავია ამ საგარეჯოში და მის ახლო-მახლო სოფლებში და ერთი ექიმი კი არ მოიპოვება! ექიმს ვინა ჩივის, უბრალო ხარდალიც (გარცეცა) არ იშოვება, კიდევ მადრიელნი უნდა ვიყვეთ შაქარა მდივანოვისა, რომელსაც ხანდახან აქვს ხოლმე ქინაქინი, ზეთი და ხარდალიცა. ამ მაზრაში ისეთი მოთხოვნილებაა ექიმისა, რო მეტი არ შეიძლება. ხუთმეტს ენკენისთვეს გუბერნიის ექიმი მოვიდა საქონლის ჭირის თაობაზე, და ჩემთან ჩამოხდა. გაიგო ხალხმა ეს თუ არა, მოდიოდნენ და მეხვეწებოდნენ რო თუ მაგ ექიმს აქვს რამე წამლობა ციებ-ცხელებისა, მოგვყიდოსო. რასაკვირველია ამას თან რა წამლები ექნებოდა. ხოლო ერთ ადგილას კი წაიყვანეს და ავათმყოფი აჩვენეს, რომელსაც წამლის რეცეპტი დაუწერა. ერთის სიტყვით, ქალაქიდამ მოსული რუსულ ქუდა რო დაინახონ, ექიმი ჰგონიათ ამ საცოდავებს. აი ამაზე რა მიამბო ერთმა გაყვითლებულმა და ჩამომდნარმა გლეხმა ერთ ტეუილა ექიმზე, როცა მე ვკითხე: რატო მაშინვე არ დალიე ეგ ქინაქინი, როცა პირველად გაგაცია?—ღმერთმა დალუპოს შენი ჭირიმე ბაჯალაანთ ქალიშვილის ოჯახი, იმან მითხრა ისეთ ჯულაბ დაგალევინებო, რო ახლად დაბადებულ ყმაწვილს დაემგზავსოვო, მხოლოდ კი ერთი მანეთი უნდა მომცე წამლის ფასიო. ჯერ სამი აბაზი გაძლიე, მერე ოთხი და ბოლოს ვიფიქრე თუ ყმაწვილივით გამხდის, ჯანი გავარდეს ერთი მანეთისაცა უნდა იყვეს. მივეცი ერთი მანეთი. დამალევინა სტაქნით თფილის წყლით შეზავებული რაღაც წამალი: მასაქმა და მითხრა ახლავე მორჩებიო, მაგრამ უარესი მამივიდა. ნეტავ ამ სოფელში ან ექიმი მოიპოვებოდეს და ან წამალი, შენი ჭირიმე. ე ბანკი ხო გაგვიხსენით; ერთი ისიც ეცადე როგორმე რო ექიმიც გაგვიჩინოთ. რასაც მომთხოვენ მივცემ. აი ამას ამბობდა საწყალი გლეხი.

როგორც შევიტყე ივრის დამზოგველ-მომხმარებელის საზოგადოების წესდების დამტკიცებულა მთავრობისაგან. ახლა იგი თვითონ ეცდება ამ მოთხოვნილებაში დააკმაყოფილოს ხალხი. ამ ამხანაგობას შეუძლიან იქონიოს პატარა აფთექი და ერთი ექიმი. ამ სოფელ საგარეჯოში იმართება საკუთარი კომიტეტი ექიმის მოწვევის თაობაზე. ეს კომიტეტი ეცდება იშოვოს ხელის მომწერლები, რომლებიც სურვილისა მებრ იკისრებენ ყოველწლივ რამდენიმე მანეთის შეწირვას. კომიტეტი ამ შენაწირ ფულებს მიიღებს და ჯამაგირად დაუნიშნავს მოწვეულ ექიმს. ექიმის მოვალეობა იქნება იმ წევრების სახლში, რომლებიც მონაწილენი იქნებიან შენაწირ ფულში, უფასოდ იაროს ავათმყოფების სანახავად. რასაკვირველია, კომიტეტი ეცდება რო ღარიბ-გლეხების სახლშიაც ექიმმა უფასოდ იაროს და არავითარი მათგან სასყიდელი არ აიღოს. ამ კომიტეტის დაარსებაზე მალიან ვცდილობთ მე თითონ, ფრიდონ ივანეს მე ჯაბადარი და მღ. თეოდორე გულისოვი.

ა. კავთელი.

---

## ზოგიერთი რამ.

ვინა ჰსთქვა, რომ თელავში „ილიუმინაცია“ არ იციანო?! თქვენ უნდა გენახათ დვინობისთვის 6-ს რა ამბები იყო თელავის „ბულვარზე!“ (ასე უწოდებენ თელავის საზოგადო ბაღს და მის წინ ქუჩას). 5 დვინობისთვეს მოვიდა თელავში ალაზნის პირის ჯარის უფროსის თ. ს. ორბელიანისაგან ტელეგრამმა (ჩაფრის ხელით), რომელმაც ფეხზე წამოაყენა მთელი თელავი. ტელეგრამმამ გვაცნობა, რომ მუხთარ-ფაშის მხედრობა ყარსიდგან მოუწყვეტია და დაუმარცხებია ჩვენს ჯარსაო. უნდა გეყურებინათ ჩვენი გაბდინძული სომხებისთვის, რა ამბავში იყვნენ: აქა-იქ იდგნენ გროვად ჯგუფ-ჯგუფად და ტელეგრამმის შინაარს ხომ არ სჯერდებოდნენ!...ბატონო, აქაო და მუხთარ-ფაშა დაამარცხესო, ჩვენმა ფაშვ-გადმოგდებულებმა კაციულაპიებმა მალ-უნებურად „ნახევარი ყარსიც აიღებინეს ჩვენს ჯარს.....მაგრამ დავანებოთ თავი ამ სომხებს, რადგანაც ყველა ამათზე ლაპარაკობს და ჰსწერს და შევუდგეთ 6 დვინობისთვის „ილიუმინაციას.“ 5-ს ჯერ

პრისტავმა და მერე ჟანდარმა ჩამოიარეს ბაზარში ბრძანებით, რომ 6-ს წირვის და პარაკლისის გათავებამდის დუქანი არავის გაეღო. ბრძანება, რასაკვირველია, აღსრულებულ იქმნა. 6 დღინობისთვის წირვა დაიწყო სობოროში, სადაც იმყოფებოდნენ მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი უფ. დროზდოვი, ადგილობრივი კამანდის უფროსი უფ. მაჭავარიანი და თელავის ყველა სასწავლებლების უფროსები, მასწავლებლები და თვით მოსწავლენიც, რადგან ამ დღეს განთავისუფლებულ იქმნენ სწავლისაგან. წირვა რუსულ ენაზე იყო სასულიერო სასწავლებლის მგალობლებითურთ, რომლებიც თუმცა კარგად ვერ გალობდნენ, ახალი შედგენილობისა გამო, მაგრამ მათი გალობა საზოგადოებას ძალიან მოსწონებოდა. წირვის გამოსვლისათანავე სამღვდელოება მგალობლების, ხორუგვების და სანთლების წინამძღოლობით, გაემგზავრნენ ბულვარისაკენ, სადაც გადიხადეს პარაკლისი. ბაღი გაჭედილი იყო ხალხით, რომელთა შორისაც ბრძანდებოდა თ. დ. ა. ჭავჭავაძე. დაიწყო თუ არა პარაკლისი,—ასტყდა ერთი საშინელი რაკა-რუკი სომხების ზარებისა, რომლების ხმამაც ისე გადარია საცოდავი მგალობლები, რომ არ იცოდნენ რა ექმნათ. მინამ დააყენებდნენ სომხების ზარებს, მოჰყვა ზარბაზნის სროლა. მაგრამ ვინ თელავი, ვინ ზარბაზანი!....არ ვიცი, მგონი ერთი პაწაწკინტელა ზარბაზანი მაზრის სამმართველოს არხივში ეპოვნათ ქაღალდებთან საცოდავად დაჟანგიანებული, მიეცათ მკალავისთვის მოსაკალავად და აეტანათ ბურჯზე, საიდგანაც ისროდნენ და რაც შეეძლოთ ბატონის წყაროს უმარჯვებდნენ, რატომ უწინდებულად არ გადმოსჩხრიალებ ლულიდამაო. აი, თელაველების მეცადინეობას თავის კეთილ-ცხოვრების გაუკეთესობაში, ბატონის წყაროს უყურადღებოთ დაგდებაში ვხედავთ. ეს წყარო რამდენი ხანია გაფუჭებულია, მაგრამ თელაველები ამისთვის ყურსაც არ იბერტყავენ ვინ თელაველები და საზოგადო საქმის გაკეთება! ნეტავი ამათ ღვინის სმის და ჯიბის გამსებისთვინ მოიცალონ. ჰო, ზარბაზანზე ვამბობდი. როგორ გგონია, მკითხველო, ზარბაზანი თავის ეტლზე იდგა?—არა: ის ბურჯზე იდო და ზედ ისეთი უშველებელი ქვის ყორე აეშენებინათ, ვითომ ზარბაზანმა არ გაიწიოსო, რომ შეგეცოდებოდათ. ვინ ისროდა ზარბაზანს?—ხარაზი ნასყიდა. მკითხველი იქნება გაჰკვირდეს: დიდოელების აჯანყების დროს წამალი არ იყო თელავშიო და ეხლა ვინ მისცათო? თელაველებს ეხლა ბევრი წამალი მოუყვიდათ თბილისიდამ —ორმოც-დაათი ფუთი! ამათა აქვთ დიდი გული?

ახლა უნდა განახათ საღამოზე რა „ფოკუსები“ გააკეთეს. მთელი ბაღი სულ ქონის ჭრაქის ჩირაღდნებით და კუპრის მაშხალებით იყო განათებული. ბაღის წინ კიდევ შუშხუნები, რაღაც ჩარხები სხვა და სხვა ფერად შეღებილი და რა ვიცი რა არ იყო?! რასაკვირველია „დუხოვაია მუზიკაც“ გახლდათ, ერთი ხომ არა, სამი ზურნა. ბაღი სავსე იყო ხალხით, რომელთა შორის მომეტებული ნაწილი ქალები იყვნენ. მაგრამ რა მშვენიერი სუნი იდგა ბაღში—ვინც ამ დღეს აქ არ იყო,—ვერ წარმოიდგენს. ერთი ისეთი აყროლებული იყო ქონის და კუპრის სუნით, რომ თელაველ ნაზად გაზრდილ ქალს გულს შეუწუხებდა, მაგრამ საზოგადოდ თელაველი ქალები ამ მყრალ სუნს არ ეპუებოდნენ, რადგანაც ამ საღამოსთანა ამბავი—როგორც დამარწმუნეს ზოგიერთმა პირებმა—თავის დღეში არ უნახავთ. ასეთი ბაასი, ლაყლანდარობა და ხარხარი ჰქონდათ, რომ უცხო კაცი გააგიჟდებოდა. ძალიან მგრძნობელნი და მიმყოლნი ყოფილან აქაური ქალები, მაგრამ ჭკვით კი ღმერთმა შეინახოს! საკვირველია, რომ თელაველი ქალები უცხო ქვეყნელს (ვინც და როგორიც უნდა იყოს) უფრო მისდევენ, ვიდრე კახელებს; აბა აქა სრულდება ანდაზა „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ აი! ეს ხომ ასე, მაგრამ ზოგი სხვა რამეზეცა გსთქვათ.

X

საკვირველია, რომ ამ უკანასკნელ დროს კახეთში ძალიან გახშირდნენ კორრესპონდენტები, მაგრამ საუბედუროდ ბევრ ჭორებს ავრცელებენ კახეთზე ზოგჯერ; აი, მაგალითად, რას იწერება მე-29 № „ივერიაში“ თავის „გაკვრით“-ში უფ. „დ. რ.“: „თელავის სასულიერო სასწავლებლის წევრი (უფ. დ. რ.! ჯერ ისიც არ იცით თქვენ, რომ მ. ხელაევი წევრად აღარ არის?) და მეკუჭნავე (ეკონომოსი) მღვდელი მ. ხელაევი, რომლის აუარებელ პატიოსნებაზედ და საზოგადო საქმისთვის გაწირულებაზედ მოგვითხრობს „ივე-

რიის“ კორრესპონდენტი „.......“ ორგან სამგან მითხრესო, რომ ამ საზოგადო საქმის მომჭირნეს ადამიანს სასწავლებლისათვის ხელთსახოცის (სალფეტკის) პირები შემოუკერვინებია თავისის მეუღლისათვის და თვითეულის შემოკერებაში თითო აბაზი უძლევია იმავე სასწავლებლის ფულებიდამაო“....ეს სიტყვები ისეთი ცილის წამებაა მ. მ. ხელაევზე, რომ მე მიკვირს როგორ არ შეაწუხა სინიდისმა უფ. დ. რ. ამ სიტყვების დაწერის დროს. ზემო მოყვანილი სიცრუვე ცხადად ჰსჩანს გასავლის წიგნიდგან, რომელშიაც აშკარად არის ჩაწერილი, რომ „თითო დუჟინი ხელსახოცი შემოკერებით და სყიდვით ორ ორ მანეთათ არის დამჯდარი.“ აბა ერთი მითხარით, თუ თითო ხელთსახოცის შემოკერებაში მ. ხელაევი თითო აბაზს აძლევდა—ამ შემთხვევაში თითო აბაზი კი არა, მეტი უნდა ღირდეს თითო ცალი—ერთი შაურით მაინც, რაც უნდა იყოს.....ეჰ მტყობა უფ. დ. რ. ჭორების მოყვარული ყოფილა, თორემ ის დალოცვილი მივიდოდა სასულიერო სასწავლებელში, ჰკითხავდა, გაიგებდა სწორედ და ისე დაწერდა; თორემ რასაც ჭორს გაიგებს ყველა ის რო წეროს—ერი ჰა! სად წავა? ქვეყანას ჭორებით ვერ დააჯერებს და ვერ გაანათლებს....

X

დიდებაა ღმერთს! ძლივს არ დავინახე თელავში ტელეგრაფის მართული! სტანციაც მზად არის თავის უფროსით (ნაჩალნიკით), მაგრამ ჯერ მართული თელავიდამ მხოლოდ 26-ს ვერსტზეა გაბმული. ამბობენ ამ ორ კვირაში იქნება მზათაო. ღმერთმა ინებოს. რადგანაც თელავში და საზოგადოდ კახეთში ორჯერ მოდის მხოლოდ ფოშტა, ჩვენ თითქმის დამველებული ამბებიდა მოგვდის ბრძოლის ველიდამ და იქნება ტელეგრაფი რომ გაიხსნას, მაშინ მაინც გვეღირსოს ყოველ დღე ტელეგრამმის მიღება ბრძოლის ველიდამ მოსულის ამბებით „მაგრამ ამაო, ჩემო ფიქრებო, არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!„ სად თელაველები, სად ტელეგრამმის დაბარება! განა თელაველებს ტელეგრამმის დარდი აქვთ?! „ალიას დარდი რა არის?—ფლავიო!„ თელაველების დარდი რადა არის?— ღვინო და ლოთობა! კიდევ? ღარიბის ხალხის მოტყუება (ვაჭრები მეგანან სახეში) და გალარცვლა; აი თელაველების დარდი! ამათ ფეხებზე ჰკიდიათ: თითონ კი ოღონდ ზარალი ნუ მიეცემათ და თუნდა „ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა!„ აი, ჩემო ბატონო, ასე დაუდევარი გახლავან თელაველები! ტელეგრაფი რომ გაიხსნა ესეც დიდოელების ბრალი იყო, თორემ დიდოელები რომ არ აჯანყებულიყვნენ, თელაველებს იქნება ამ საქმისათვის ყურიც თავის დღეში არ გაებერტყათ.

X

კახეთი. ღვინო თან-და-თან მცირდება. პური და საზოგადოდ ხორაგი ლობიოს გარდა იაფია. ავათმყოფობა არა არის რა, გარდა წითელასი, მაგრამ წითელასაც მშვიდობიანად ხდილობენ. ქურდობა და ავაზაკობა არა არის რა. სიცივეები არ არის თუმცა, წვიმები ხშირი და თითქმის გაუწყვეტელია. ჯეჯილები ამოსულია. საქონლის ავათმყოფობა მოჭშორდა კახეთს. კახეთში ამ ჟამად ოთხი მილიციაა შედგენილი, რომლებშიაც თითოში 400 კაცია. ერთ ახალ, მაგრამ სამწუხარო ამბავსაც მოგწერთ: 29 ენკენისთვეს ღამის 7 საათზე დაეცნენ ლეკები სოფ. ნაფარეულის ახლოთ მმოვართ თ. ა. ჯორჯაძის საქონელს, რომელიც იყო სოფლის თავიდგან 6 ვერსტზედა; წაასხეს 130 სული კამბეჩები და ძროხები. მეორე დღეს მეძროხეების ქოხების ახლოს სამ-სამი მკვდარი მეძროხეები იპოვნეს, რომლებიც ათას ნაირად იყვნენ დაჩეხილნი და არც ერთს მათგანს ხელის მტევანი არა ჰქონდათ. სოფ. ნაფარეულში დიდოდგან ორი გზა ჩამოდის: ყადორისა და ანდარაზანისა. საკვირველია, რომ ამ გზებზე ყარაულები არ იდგნენ, როდესაც რომ ამ შემთხვევის წინა დღეებში, ორჯერ მოუვიდა მოწერილობა სოფლის ნაჩალნიკს კარდონის ნაჩალნიკის თ. გ. ჯორჯაძისაგან, რომ მას სოფელში ჩამოსავლელ საეჭვო ადგილებზე უსათუოდ ყარაულები ჰყოლებოდა. ამ საქმეზედ სოფ. ნაფარეულის მამასახლისი მისცეს სამხედრო სასამართლო პასუხისგებაში (ВОЕННЫЙ СУДЪ). ჩვენ, რამდენათაც ამ საქმის გარემოებას ვიცით თუ სოფლის ნაჩალნიკი არ არის დამნაშავე, მამასახლისის ბრალიც უფრო არ არის.....

ქართველი.

ქ. თელავი.
1877 წ. 10 ღვინობისთვეს.

# ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა

(შემდეგი *)

„ხალხს მხოლოდ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს და გონივრად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი."

ლაველე.

„ცოდნა არის ძლიერება ანუ ძალა."

ბეკონი.

„იგი არის საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა."

ვივერშამ.

## II

ცხადია, რომ რასაც ხალხის სასარგებლოდ, მისის ყოფა-ცხოვრების გასამჯობინებლად, წინ-წასაწევად ჰმართვენ, ყოველს მას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის მოთხოვნილებასთან; იგი უნდა იყვეს პირდაპირ დადგენილი ხალხის მოთხოვნილებაზე, რომ სარგებლობა რამ მოიტანოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა რომ სასოფლო სასწავლებელის, მომართვის, მოწყობილობის და დაფუძნების ჟამსაც კაცს უნდა ჰქონდეს თვალ წინ ხალხის მოთხოვნილება და ყოფა-ცხოვრება. აი ეს აზრი იმულებულ გვხდის დაგიხატოთ ნათლად ჩვენი ხალხის ცხოვრება, რომ რა არის ნათლად წარმოვიდგინოთ სასოფლო სასწავლებელის ხასიათი.

ჩვენ არ გამოვუდგებით ვრცელს აღწერას ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეებისას და არც საჭიროა. განა მოიპოვება ვინმე ჩვენ შორის, რომელმაც ბევრათ თუ ცოტათ არ იცოდეს ჩვენის ხალხის ცხოვრება? აქ ჩვენ საგნისათვის ისიც საკმაო იქნება, თუ წარმოვიდგენთ ხალხის ცხოვრების სურათს. მაშ ამ სურათის დახატვას შევუდგეთ.

აი პირ-ხმელი, ჭაღარაშერეული გლეხი. რვა დღის სახნავი მიწა აქვს. დღენახევრის ძველი ვენახი; და ერთის დღის ახალი ბაგა, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც უყიდნია ერთის თავადისაგან, ორის ურმის ხარ-კამბეჩი ჰყავს. მუშაობაში არავის ჩამორჩება. დილით მოკიდებული საღამომდინ წელებზე ფეხს იდგამს. თავის ოჯახის შვილებსაც ძრიელ ამუშავებს. რადგანაც ეს თავის სახლობითურთ ძრიელ გამრჯელია,—თავისი მამული არ ყოფნის და სხვის მიწებს ხნავს საღალედ. მოსავალი ყოველ წლივ კარგი მოზდის. ასკოდამდინ პური მოზდის, ორმოც კოდამდინ სიმინდი, ფეტვი და ქერი, ორმოც კოკამდინ ღვინო. ამას გარდა ეს პირ-ხმელა კაცი ხშირათ არტარებს ურმებს ქირაზე და აქედამაც ამას კარგი გამორჩომა აქვს. როგორც ხედავს მკითხველი ეს გვარიან საშოვარშია. მაგრამა აბა ჩავაცქერდეთ ამის ყოფა-ცხოვრებას. ჯერეთ სახლი გავუშინჯოთ. კალო, საბძელი და ბოსელი კარებ წინ აქვს. სახლის ერთის მხრით უყრია ნეხვი და მეორე მხრით ნაგავი. ნუ იფიქრებს, რომ მოხსენებულ გლეხს ცოტა ადგილი ჰქონდეს კარმიდამოსათვის. არა, ამას ბევრი ადგილი აქვს; მაგრამ ყველაფერი ერთმანეთზე აქვს მიყრილი. კაცს ჰგონია ეს გლეხი აქ მდგომი არ არისო.

შევიდეთ ახლა სახლში. როგორიც წესია კარმიდამოზე,—ისეთი ამ ქვიტკირის დარბაზშიაც, რომლების კედლებიც მაღლზეა შემურული კვარის ბოლისაგან. იქ მაწვნის ქილები დგას, აქ ღვედები და ურმის მოწყობილება აწყვია; ერთ კუნჭულში გოდორზე შეჭვარტლული ლოგინი აწყვია; კერა ქათმებს გამოუძმიათ და იქაურობა მოდებულია. აი ბავშვებიც ფეხშიშველები და თავშიშვლები, ერთის დაგლეჯილის და ჭუჭყიანის პერანგის ამარას გარბიან და შერბიან სახლში. დედამთილი და ორი რძალი რაღასაც ფუსფუსებენ. დედამთილი ფეხ-შიშველაა, აცვია ათასნაირად დაკონკილი კაბა და თავზე ხურავს ისეთი ჭუჭყიანი თავშალი, რომ კაცს ჰგონია ეს არი ეხლა აუღია სანაგვეზედაო. რძლებს თუმცა დაფხრეწილი კაბები არ აცვიათ, მაგრამ ამ კაბებს მგონი თავის დღეში არ ღირსებიათ გარეცხა. არც თავშალები ხურავთ მეტად სუფთები. მაგრამ რა უფრო აკვირვებს კაცს? ამათი დახეთქილი ფეხები. არც კაცებს აცვიათ კარგად. ჩვენს პირ-ხმელა და ჭაღარა შერეულ კაცს და მის ცოლიან შვილებს კი უკვართ ჩაცმა, მაგრამა წლითი-წლამდინ თითო წყვილ ნიფხავ-პერანგში ირთმევენ კი სულს. ამათი ჩოხები, მიფხრეწილ-მოფხრეწილები, სრულებით არ ჩაიცმევა; მაგრამ მაშინ როდესაც ესენი დაგლეჯილ პერანგებში და უმგზავს ჩოხებში სულს ირთმევენ წლითი-წლამდინ, იმ დროს ამათ კედელზე უკიდიათ ოცდახუთ მანეთიანი ჩოხები, რომლებიც იქნება წელიწადში ორჯერ არ ჩაიცვან.—დედა-კაცებიც არ არიან უსაგარეო ტანისამოსოთ. ჭვარტლიან სკივრებში ამათაც უწყვიათ ფარჩის კაბები და წინდისავებ ინახვენ; მხოლოდ დღეობებში

---

*) „ივერია" № 33.

იცმენ ხოლმე, რომ რა არი ხალხს დაენახვოთ. ნუ იფიქრებ მკითხველო, რომ ამათი კუჭი მაინც უკეთეს მდგომარეობაში იყოს: წლითი-წლამდის სულ ლობიოზე და სიმინდ ანუ ქერ-ნარევ პურზე არიან. მაგრამ თუ ბავშვი მოჰნათლეს, ან ვინმე დააქორწილეს, მაშინ ესენი არაფერს არ დაზოგვენ. ერთ ქორწილში დახარჯვენ თითქმის ერთის წლის საზრდოს. არც უბედურობის დროს არიან ხელ-მოჭერილნი. თავიანთის მკვდრის დასამარხავად ესენი არას ხარჯს არ მოერიდებიან და მთელ სოფელს შეჰყრიან. თუ მკითხავმა ურჩივა სადმე წასვლა სალოცავად, მაშინაც არ დასტოვებენ თავიანთ კუჭს უპატიოთ. ასე ჩვენ პირ-ხმელა თავის ჯალაბითურთ ანუ ცარიელ პურზე და ლობიოზეა, ანუ კიდევ, როცა დროება მოიტანს, ყელამდის ძღება და სხვებსაც აძღობს.—ამ უსწორ-მასწორობას, ოღრო-ჩოღრობას ჩვენი გლეხის ყოფა-ცხოვრებაში უნდა დავუმატოთ კიდევ შემდეგი: უვალო გლეხი კაცი ხომ ძნელად მოიძებნება და ამ ჩვენ პირ-ხმელა კაცსაც აქვს ვალი. ზოგი მამის დამარხვაზე დასდებია, ზოგი ქალის გათხოვებაზე, ზოგი კიდევ კამბეჩების ყიდვაზე და სხვ. მართალია დიდი ვალი არ აქვს. ხუთმეტი ანუ ათიოდ თუმანი რა ვალია? მაგრამ სარგებელი ამ ფულისა დიდია.

ხუმრობა საქმე არ არის, თუმანზე ორი კოდი სარგებელია, ანუ თუმანზე კოკა ტკბილია. აი კალო გალეწა პირ-ხმელა გლეხმა და თავს წაადგა აბრამა ურია. დიმიტრო! პირობაზე როგორა ხარ? როგორ უნდა ვიყვე. შენი პური მზად არის,—და უწყავს ათს კოდს პურს. აი კიდევ ყურძენი დასწურა და ეწვია ახლა სხვა მოვალე. დიმიტრო! მაძლევ თუ არა ტკბილს? კარქი იქნება ამ წელიწადს დამითმო, ბიჭს ვაქორწილებ, ეუბნება დიმიტრა. მოვალე უარს ეუბნება და გლეხი უწყავს ხუთ კოკა ტკბილს ამაობაში ჩვენს პირ-ხმელა კაცს უმცირდება წლის მოსავალი. ვინ ჩამოსთვლის, თუ რანაირად ხელიდამ ეცლება ამას თავისი წლის საზრდო.

აი მეორე გლეხი. ამას ბატონის მიწა-წყალი უჭირავს, „ნადელში“ (წილად-ხდომილი მიწა) შეხვედრია ათის დღის მიწა და ერთის დღის ვენახი; ცოტაოდენი ჩასყიდობაც აქვს. ორი-ურმის ხარ-კამეჩი ებმება, მუშაობაშიაც ეს პირ-ხმელა გლეხს არ დაუარდება. მოსავალი ამასაც ნაკლები არ მოზდის; მაგრამ ამას უფრო ცუდი ყოფა-ცხოვრება აქვს და მეტი სატანჯველიც. ჯერ ეს ერთი, რომ რა წამსაც რთველი მოატანს, უწინდელი ბატონი ეწვევა და ერთი ორ კვირას ჩაუდგება სახლში, რომ რა არი თავის მეოთხედები გამოართვას. ეს არაფერი. ამას რაღაც დავა ჰქონია ბატონთან მამულის თაობაზე, დიდი ვალი დაზდებია თავის უცოდინარობისა გამო. აბაზის ადგილას მანეთი უხარჯავს, მანეთის ადგილას თუმანი და საქმე კი ვერ მოუგია. ეს ვალი ამასაც ძნელ საქმეს უშვრება.

აი კიდევ მესამე გლეხი. ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია; მხოლოდ ბატონისაგან ჰრგებია ერთის სახლის ადგილი და ერთი გვალი ვენახი. ამას ნუ უკითხავთ ნურც ხაბძელს და ნურც ბოსელს. რაც შეეხება სახლს, ეს ხომ საკვირველი რამ არის? აი მიწის სახლი, რომელიც ძალზეა ჩამჯდარი დედა-მიწაში. კარები დასავლეთის მხრისაკენ აქვს და დიდი წვიმის დროს ნიაღვარი თავისუფლად შეუარდება ხოლმე შინ. ერთი ბანი აქვს ფანჯარაც ეს არის და ბუხარიც. ამ სახლის პატრონს ოთხი ბავშვი ჰყავს, ორი ვაჟი და ორი ქალი; სულ ექვსი სულნი ცხოვრობენ აღწერილ მიწის სახლში. აქვე ჰყავთ პატრონებს ქათმებიც და ინდაურებიც. ამათი ცხოვრება ერთი რაღაც საცოდაობაა. ცარიელი მჭადიც კი სანატრელია, თორემ პურს ვინ იტყვის ლობიოს ჭამასაც ათასში ერთხელ ეღირსებიან ისიც, როცა მეზობლები მოაწოდებენ. რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას, ეს ხომ სათქმელი არ არის. ერთი დაგლეჯილი ჩოხა თავისის შესაფერის პერანგით და მის ამხანაგით, აი ეს არის ტანსაცმელი სახლის უფროსისა. ბავშვები ხომ სრულიად თავ-შიშვლები და ფეხ-შიშვლები არიან, მხოლოდ დაძონძილი პერანგები აცვიათ. არც ბავშვების დედაა უკეთეს მდგომარეობაში. ამასაც დაკონკილებში და დაძონძილებში ამოსდის სული. ამათთვის არც ძილია ხეირიანი. კერას ახლოს უგიათ ძველი ფარდაგი და ბავშვები ამ ფარდაგზე გოჭებისავით მოსწოლიან დედას ერთ ტურტლიან და დაგლეჯილის საბნის ქვეშ. ამათ მამას კიდევ კუნჭულში წაუგია რაღაც ჩული და ზედ თავისი ჩოხა წაუხურავს. ეს არის ამ საწყლების ყოფა-ცხოვრება.

ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეს გლეხი ამ სიღარიბეშია თავისის ზარმაცობის წყალობით. უსინიდისობა იქნება, რომ კაცმა ამას ზარმაცობა დასწამოს. გათენდება თუ არა, საწყალი გლეხი ფეხზე ტრიალებს. დღეს ამას შველის სიმინდზე, ხვალ იმას ფულზე, ზეგ კიდევ

ხდილობს ვალს. ერთის სიტყვით-წელებზე ფესს იდგამს, მაგრამ ვერას გამხდარა. ან რას გახდება? ზამთრით ამისათვის უძლევიათ გაკეთებულ მეზობლებს სიმინდი მეშაობაზე და აი ეხლა ჰსცდილობს თავის ვალის გადახდას: აბაზათ შველის მოვალეებს დღეში, თუმც მუშა ათი შაურია. ასე რომ არ იყვეს, განა მუშაკაცი იმ გვარ სიღარიბეში ჩავარდება, რა სიღარიბეშიაც არის მოხსენებული გლეხი? ახლა დაუმატეთ ამას ისიც, რომ ესეც ქართველია და ამის გამო ეწყობა უადგილო ხარჯს. მაგრამ საიდამ ხარჯოს, რომ არაფერი აქვს? ეს წყაროს მალე ჰოულობს. აი ბიჭი ჰყავს მოსანათლი, მიდის და მუშაობაზე ართმევს თავის მეზობელს პურს, ღვინოს და, თუ საჭიროა, ფულსაც. აგრეთვე გჰსთქვათ, მოუკვდა ვინმე, მაშინვე თავის ერთ კვალ ვენახს უგირავებს ვისმე და ისე მარხავს თავის მკვდარს. რა წესებსაც მისდევს გაკეთებული გლეხი, იმავე წესებს მისდევს ესეც და ამით სამუდამოდ ჰკარგავს ღონისძიებას—რომ როგორმე გამოვიდეს სიღარიბიდამ.

აი კიდევ სრულებით უმამულო კაცი. ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთის გლეხის ბოსელში დგას, მეორე წელიწადს მეორე გლეხის ბოსელში. ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდამ და ხან მეორე და არის ერთ ცეცხლში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისი ჩაცმა-დახურვა, სმაჭამა უფრო უკანასკნელია მინამ ზემოთ მოყვანილის გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში.

აი რა სურათებს წარმოგვიდგენს ჩვენის ხალხის ცხოვრება! აი რა ყოფა-ცხოვრებაშია ქართველი ხალხი, თუმცა კი თავ-წაღუნული მუშაობს დილით საღამომდინ! ქართველ გლეხს მოზდის-თუ არ მოზდის მოსავალი, მისთვის მაინც არც ხეირიანი ჩაცმა-დახურვაა და არც ხეირიანი სმა-ჭამა. ბევრჯელ შეხვდებით გლეხს, რომელსაც ხუთას კოდობით პური და ას კოკობით ღვინო მოზდის, მაგრამ მაინც ამის სიზანი იმავე დაუდევარ ცხოვრებაშია, რა დაუდევარ ცხოვრებაშიაც არის ღარიბის კაცის სახლობა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ პირველს პური და ღვინო წლამდინ მიზდევს, მეორეს კი არა.

რა არის ამ სამწუხარო მოვლინების მიზეზი? საიდგან წარმოდგება, რომ გლეხები ასე ბევრს მუშაობენ, ზოგს მათგანს კარგი მოსავალიც მოჰყავს და ცარიელ პურზე (თუ ესეც აქვს), დაგლეჯილ ტანისამოსში და უხეირო სახლებში კი ირთმევენ სულს? ამას გარდა რომ გლეხს ბევრი მგლეჯავი ჰყავს და მგლეჯელების რიცხვი უთვალავია, ამას ღუპავს კიდევ უსწავლელობა, უქონლობა ეკონომიურის მოსაზრებისა და ის, რომ აქამომდინ თავის ნამუშავარს არ აპყრობს ყურადღებას, რომ რა არი კარგის ღირსებისა იყვეს და ბაზარში კარგი ფასი ედოს. გლეხს უსწავლელობისა გამო, უჭირდება ცოტა მამულში ბევრი მოიყვანოს და თუ კიდევ ბევრი მამული აქვს და მოიყვანა ბლომათ მოსავალი, მაშინ ამ მოსავალს მიფლანგ-მოფლანგავს უბრალოდ და დაჯდება ცარიელი. ამას ხომ იმოდენა ცოდნა და გამოცდილება არა აქვს, რომ თავისის შრომის ნაყოფი გონივრულად გამოიყენოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის მხსნელად უნდა გახდეს განათლება, რომელსაც შეუძლიან ნელ-ნელობით დაბადოს გლეხში სურვილი თავის ნამუშევრის განკარგებისა და შრომის ნაყოფი ცნობიერად და სიფრთხილით მოახმაროს. ხოლო განათლების გავრცელება ხალხში შესაძლოა მხოლოდ სასწავლებლებით, რომლებიდგანაც თვითონ ხალხი მოელის გამოცოცხლებას და ფეხზედ დადგომას.

ქვემო ქართლელი.

(შემდეგი იქნება.)

---

## წერილი ბლაღოჩინის ფირანოვისა *)

უფალო რედაკტორო! უმორჩილესად გთხოვ ქვემორე მოხსენებულს ჩემს სიტყვებსაც მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთს „ივერიაში“ თუნდ უკანასკნელი ადგილი და დამიბეჭდოთ პასუხად იმა სტატიისა, რომელიც არის ჩემზედ ქ. თელავიდგან ამავე გაზეთს „ივერიაში“ მე-24 №-ში მოხსენებული.

ამა სტატიაში უფალი———(ამ ნაირს ხაზს უსვამს უფ. კორრესპონდენტი თავის გვარის მაგიერ ხსენებულს სტატიის ბოლოში) პირველად სწერს, რომ მე უჩივლე თელავის მომრიგებელ-მოსამართლესთან უფ. თ. ა. ვახვახოვს, რომლის საჩივრისა გამო მყვანდა ვითომც ცამეტი მოწმე, რომელთაც მევე გამამტყუნეს; მეორედ, სწერს უფ. ხა—ზი,

---

*) ჩვენ ამ წერილსა ვბეჭდავთ მარტო მისთვის, რომ ამ წერილის დამწერს ღონისძიება ჰქონდეს თავისი ჰსთქვას მასზედ, რაც „ივერიის“ 24 №-ში მის შესახებ თქმულ იყო. ხოლო ბოდიშს ვიხდით, რომ ამ წერილიდამ ყოველივე იგი ამოვშალეთ, რაც საბაასო საგანს არ ეკუთნოდა და რაც ჩვენ უშესაბამოდ მიგვაჩნდა დასაბეჭდათ.

ვითომც მე შევედ ეკკლესიაში და დაუწყე ტრაპეზს ქცევა ჯოხითა; მესამედ, ამ დროს შემოვიდა ა. გასვასოვი, გლეხების თხოვნით, და მკითხა რატომ აქამდის ეკკლესიას განკელი არა აქვს გაკეთებული, როდესაც ამისთვის ფული კარგა ხანია მიღებული გქონიათ? უფ. ს—ზი ზედ დაურთავს რომ ბლაღოჩინს 170 მან. ეკკლესიის ფული ნამდვილად გამოუტანია ექზარხოსის ნებართვით, პრიკაზიდან განკელის გასაკეთებლად, მაგრამ როგორც ამბობენ თავისის საჭიროებისათვის დაუხარჯამო. მეოთხედ., უფ. ს—ზი სწერს „ფირანოვი ამ კითხვაზედ გაჯავრებულა და შეუფერებელი სიტყვებით უთქვამს ა. გასვასოვისათვის კარში გასვლა; ეს მაშინვე გამოსულა, არც დამექრების ბლაღოჩინს და არც ნათლობა უსრულებია მღვდელს ამ დროს. თუმცა კი ბლაღოჩინი ქუჩებზედ და თავის განცხადებაში ამასა ჩიოდა"; მეხუთედ, უფ. ს—ზს მოჰყავს მოწმების ნაჩვენები და ბოლოს მეექვსედ ამბობს, რომ ა. გასვასოვს ექზარხოსთან საჩივარი შეაქვსო ბლაღოჩინს ფირანოვზედ და მის მთავარ მაისურაძეზედაო, პირველიდგან ითხოვს თავის შეურაცხის გარდასახადსაო, ხოლო მეორის დასჯას, როგორც ფიცის გარდამსდომელისასო.

ამისთვის უფ. რედაკტორო და უფ. მკითხველნო მეც მაქვს პატივი ზემო მოხსენებულს ჩემზედ უფ. ს—ზის მიერ თვითვეულს მუხლზედ მოგახსენო შემდეგი პასუხი:

1) ეს მართალია, რომ მე ა. გასვასოვზედ შევიტანე საჩივარი თელავის მომრიგებელს მოსამართლესთან; მაგრამ ეს კი ძრიელ ცოცხალი ტყუილია, რომ ვითომც მე მყავნდა ცამეტი მოწამე. არა უფ. ს—ზო, მე მყავნდა ათი მოწამე და დანაშთენი სამი მოწამე იყო თვით ა. გასვასოვის მხრით.

2) ეს ეკკლესია, რომელზედაც აწინდელი საუბარი შესდგა, არის წმიდის მთავარ მოწამის გიორგის სახელზედ დაწყობილი სოფ. კურდღელაურში, სადაც ამ ეკკლესიას ქართველნი მომატებულ სახელს უწოდებენ კავთის წმინდა გიორგად. ორმოცის წლის წინათ ე. ი. იმ დროს, როდესაც საქართველოში ექსარხოსად ყოფილა არხიეპისკოპოსი ევგენი, ვიდაც ველის-ციხელს სომეხს დაუწყვია ამ ეკკლესიის შენობა და რადგანაც რომლისამე მიზეზისა გამო ველარ დაუსრულებია შენობა ამ ეკკლესიისა, ამისთვის რაოდენსამე არშინზედ იმ დროდგან დარჩომილი იყო მარტო ცარიელი კედლები და აი ამ კედლებზედ ექსარხოსის ნებართვით ჩემის მეცადინეობით ავაკისრე სოფლის ხალხს ეკკლესიის დათავება, რომლისათვისაც ნაცვლად მადლობისა, ზოგიერთა პირთა სივერაგობისაგამო, საზოგადოებაში მივიღე უკადრება და უკაცური ცილისწამება. ამ ეკკლესიაში ზემორე მოხსენებულს სომეხს, როგორც ჭსჩანს, სამირკვლის ჩაყრის დროსვე დაუდგავს ქვითკირის ტრაპეზი ჯვროვანს ადგილას. ეს ტრაპეზი არის სიმაღლით $^3/_4$ არშინი, ასე რომ მღვდელი მოქმედების დროს მღვდელმა თუ არ დაიჩოქა ტრაპეზის წინ სხვაფრივ ამ ტრაპეზზედ ვერა ღვთის მსახურებას ვერ აღასრულებს. რადგანაც ამ გვარის ტრაპეზის კურთხევა აწინდელის ეკკლესიურის კანონის ძალით არ შეიძლებოდა, ამისათვის მე მრავალ გზის დავავალე ფოდრაჩიკებს (კალატოზებს ბიძინაშვილს და ხახუტაშვილს) რომ ეს ტრაპეზი დაექციგნათ და ნაცვლად ამისა უნდა გაეკეთებინათ, როგორისაც მე ვეტყოდი აბანოზის ხისა, მაგრამ განა არ მოგეხსენებათ უფ. ს—ზო და უფ. მკითხველნო თუ როგორი უმეცარია ჩვენი გლეხი კაცი? მოვიდალე ბევრის ლაპარაკით და არა მეშველა რა, მე ამ კალატოზებს (ეს კალატოზები არიან ისევე ამ სოფლის კურდღელაურის გლეხებთაგანნი) ვერ ავაკისრე ამ ტრაპეზის დანგრევა, რადგანაც ვერას გზით ვერ დავაჯერე, რომ ეს ტრაპეზი ნაკურთხი არ იყო. ამა მიზეზისა გამო მე თვითონ მივედ ამ საკურთხეველს ეკკლესიაში, კავთობის დღეს და ჩემის საკუთარის ხელში საჭერის ჯოხით, ამ კალატოზების თვალ წინ ავსწიე ერთის ორიოდე აგური და ჩამოვაგდე იმ ტრაპეზიდგან და ამით დავარწმუნე ის კალატოზები, რომ ის ტრაპეზი უნდა უეჭველად დაქცეულიყო, რადგანაც არ იყო ნაკურთხი და რადგანაც სიტყვით არა გამეწყო რა. რამდენჯერაც ამ საგანზედ ვიტყოდი რასმე, იმდენჯერ დამიწყებდნენ თავიანთ ცრუ სარწმუნოებით დამტკიცებას და ამ სახით ლაპარაკს: დავიღუპებით მაშინვე ბატონო, რომ ეგ დავაქციოთ, სოფლისთვის არ კარგა, სეტყვა სულ აგვაოხრებს და სხვა და სხვა ამ გვარს, ვინ იცის რას მომიყოლებდნენ ხოლმე.

3) როდესაც ჩემის საკუთარის ჯოხით გადმოვაგდე ხსენებულის ტრაპეზიდგან ორიოდე აგური და ვეუბნებოდი კალატოზებს „ახლა ხომ დაიჯერებთ, რომ ეს ტრაპეზი ტრაპეზობას არა იქმს და უნდა დაიქცეს მეთქი", სწორეთ ამ დროს ვიდაც გლეხის უმაწვილი მოიყვა-

ნეს ეკკლესიაში და მღვდელმა იწყო ნათვლა ამ ყმაწვილისა. მღვდელს კიდეც უთხარი მე, როგორც ადგილობრივმა ბლაღოჩინმა, რომ ამ დროს, როდესაც ხალხი ირევა ეკკლესიაში და არ არის წესიერი სიმშვიდე და სიწყნარე, ყმაწვილის მონათვლა არ შეიძლება მეთქი; გარდა ამისა ემბაზიც წინ რომ მოიტანა დიაჩოკმა და დასდვა, ამაზედაც ვუთხარი მღვდელსა, რომ ამ გვარს ემბაზში ყმაწვილს არ მონათვლამენ მეთქი (თიხისა იყო ჯამფიალას ანუ თიხის ბადიას რომ ვეტყვით სწორეთ იმოდენი) მღვდელმა ემბაზზედ ბოდიში მოითხოვა და ამ დროს ყმაწვილების ნათვლაზედ კი მითხრა, რომ ყოველ წლივ ასრე იციან ამ რეგვენმა ჩემმა პრიხოდელებმაო. თუ ამ კავთობის დღეს არ მონათლეს, არ მომისვენებენო და ასტეხენ ერთ შფოთსა და ჩხუბსაო. რას ვიზამდი ან მე? მღვდელმა განაგრძელა ყმაწვილის ნათვლობა და აი სწორეთ ამ დროს საიდღამაც შემოვარდა ეკკლესიაში უფ. თ. ა. გახვახოვი, მომვარდა პირდაპირ მე და, როგორც თვით უფ. ხა—ზო, თქვენ ბძანებთ სწორეთ ამ ლექსებით მკითხა: „რატომ ეკკლესიას აქამდინ კანკელი არა აქვს გაკეთებული, როდესაც ამისთვის კარგა ხანია ფული მიღებული გქონიათ?" ასლა იფიქრეთ უფ. მკითხველნო, ამ გვარის კითხვიდგან გამოდის რაღაც უფლებითი და ბძანებითის სახით კითხვა თუ არა? სიტყვები: რატომ, როდესაც და კარგა ხანია, ფული მოგსვლიათ, რას ნიშნავენ? მაშ ამ გვარის სიტყვების მომახსენებელს ამ გვარის კითხვის დროს გულში არ ექმნებოდა რაღაც აღგზნებული ჩემზედ მრისხანებაა? აქვნდა და კიდეც ცხადათ გამოიჩინა: თუ გლეხებმა სთხოვეს ჩემთან შუამავლობა, მაშ რატომ ისრე არ მითხრა, რომ გლეხები გთხოვენ, მამაო ბლაღოჩინო, ანუ სოლომონ, რომ აგები მალე კანკელი გაუკეთებინოთ და მალე აკურთხოთ ეს ეკკლესია. გლეხებს მისი შემწეობა რათ უნდოდათ, როდესაც ყოველ კვირაში ორჯერ და სამჯერ მნახავდნენ ხოლმე და სხვათა შორის ამ საგანზედაც ჰქონიათ და კიდევაც აქვთ ჩემთან ლაპარაკი. წინა დღითაც, ე. ი. 21 მაისს, საღამოს ჟამს, ქვემოთ ხსენებულს მიხა სეხნიაშვილს ჰქონდა თელავში ამავე საგანზედ ლაპარაკი ჩემთან ეს სრულიად ტყუილია, შემდეგ არის მოხერხებული, მაგრამ თვით თქვენის მოყვანილის სიტყვებისაგან სჩანს, რომ აქ შუამავლობა არ ყოფილა, არამედ დაბირება და ერთი ვისგანმე გახერხება. თუმცაღა მე მალე შევატყე უფ. ა. გახვახოვს მრისხანების გამოხატულება სრულიად მრთელის ტანის და პირის სახის სანახაობაზედ, მაგრამ მე დამშვიდებულის გულით და სახით მოვახსენე: აი კნიაზო, ეს სეხნიაშვილიც წეღან ამ კანკელზედ მელაპარაკებოდა. (ეს მიხა სეხნიაშვილი, რომელიც ეკკლესიის შენობაზედ სოფლისაგან არის ზედამხედველად ამორჩეული, გახლავსთ პირველი მოწამე თ. ა. გახვახოვის მხრიდგან როგორც ეტყობოდა წინდაწინ ეს სეხნიაშვილი იყო შემოგზავნილი ჩემთან ეკკლესიაში ლაპარაკის დასაწყობად და მერე თან შემოჰყვა უფ. გახვახოვიცა, რომელიც კიდევ ჩემის მტრისა და დუშმნისაგან იყო და არის აღელვებული ჩემზედა, თორემ მე ა. გახვახოვთან ბოროტი არა მიმიძღვის რა, მოძღვრობის წესით მეგობრობის მეტი.) მაგრამ რა ვქნა ყმაწვილო, მოვახსენე მე უფ. გახვახოვს, განა თქვენ არ გაიგებდით თუ რა ნაირად დამღუპა და დამატყუვანა იმ უკეთურმა ივან ივანიჩმა კოვშაროვმაა? ათი თუმანი მიიღო ჩემგნით კანკელის გასაკეთებლად, გამეპარა თელავიდგან ქ. თბილისში და საქმე კი ესრე შეუსრულებელი დამიგდო. ყოველს დღეს ველი აგები მოვიდეს და თავისი დაწყობილი საქმე შემისრულოს მეთქი და ამასთანავე ხომ ხედავთ რომ ჯერ კიდევ აკლია ამ ეკკლესიას, როგორც შიგნით აგრეთვე გარეთაც, გაკეთდეს და კანკელიც მალე იქმნება. (რაც აკლია ეკკლესიის გასაკეთებელი სოფლის მხრით, ამაზედ ადგილობრივს პოლიციის პრისტავის, ადგილობრივის მღვდლის და ორის კალატოზის თანა დასწრებითა ჩემ მიერ არის შედგენილი აკტი, რომელიც წარიგზავნა ექსარხოსთან წარსულს 31 აგვისტოს № 197-მია). ამ სიტყვებზედ შემომიტივა თ. ა. გახვახოვმა თითის ქნევით და მრისხანის ტონით მითხრა: კოვშაროვმაა? მე შენ გაჩვენებ ვინც შესჭამა ის ფული! მე კოვშაროვს არ ვიცნობ; მე ვიცი ვისაც დავათვლევინებ იმ ფულებს! მე ხირსელოვი მღვდელი არ გეგონო; მე არ დამვიწყებია რომ ნაწილი დაჰკარგე, და სხვა ამ გვარნი მრავალნი ლექსები დახარჯა ჩემზედ. მაშინ მეც, როგორათაც სისხლიანს და გულიანს კაცს, მომივიდა ჯავრი და მართალი უთხარი: „убирайтесь, князь, отсюда пажалуйста, не ваше дѣло объ этомъ спорить со мною и требовать отъ меня отчета или объясненія; уходите изъ церкви и не кричите здѣсь, вотъ видите, что крещаютъ младенца". ამ დროს რასაკვირველია,

იგრძნო ა. ვახვახოვმა და გამოვიდა გარედ დიდის ყვირილით და მუქარებით. ამ დროს მღვდელი, რომელსაც აქვნდა კისერზედ ოლარი და ხელში კურთხევანი, მამეახლოვა და მითხრა: შენი ჭირიმე, ბლაღოჩინო გარეთ არ გახვიდე, ერთი ხათაბალა არა მოხდეს რა. ამაზედ გვალად მივეცი შენიშვნა მღვდელს და უთხარი: მამაო, თქვენ ნათლობა შეასრულეთ, არ შეიძლება თქვენგნით ლაპარაკი საიდუმლოს აღსრულების დროს.

რაც შეეხება პროკაზიდგან წარმოგზავნილს ფულს, ამაზედ მოგახსენებთ უფ. ხ—ზო შემდეგს: 1874 წელში ხსენებულმა ეკლესიის მრევლმა მთხოვა მიმეცა შემწეობა და რაც ფული იყო პროკაზში, ის ფული გამომეტანა და სხვა და სხვა საჭიროებისათვის, შემდეგ ეკლესიის აღშენებისა, დამეხარჯნა. მეც მივიღე რა ამ ხალხის სიღარიბე სახეში, ვსთხოვე ექსარხოსს და წარმომიგზავნა ის ფული, რომელიც იყო რიცხვით 169 მან. და 82 კ. და უფ. მკითხველთ ვსთხოვ იქონიონ სახეში ესეც, რომ ამ ფულს ასეთი დანიშნულება არა ჰქონია, რომ ამით მარტო კანკელი გაკეთებულიყო; ამით უნდა, კედლების გარდა, ყველა საჭიროება ეკკლესიისა მომესყიდნა და კიდეც უნდა მოვისყიდო.

ზემო ხსენებულის ფულით ვიფიქრე იაფი ფასის კანკელის გაკეთება და სხვა დანაშთენნი საჭირო ნივთების მოსყიდვაცა. მაგრამ ღმერთმან ჰკითხოს ჩემს მომტყუებელს და ამ საქმის დამცარავს. თუ ჩემგნით არა გჯერათ უფ. ხ—ზო, რომ მე მიკეთებდა კანკელს ხსენებულის ეკკლესიისათვის ივანე კოშაროვი, მაშ ჰკითხეთ ამაზედ თვით კოშაროვს, რომელმაც, ჩემს თელავში არ მყოფობის დროს, აიღო რა ხელი მუშაობაზედ, მიღალატა და გამეპარა წარსულს 1876 წელსა თებერვლის თვეში ქ. თბილისში; ჰკითხეთ ჩემდა რწმუნებულის ეკკლესიის კრებას თუ ასრე არ ყოფილა; მასთანავე მიბძანდით ჩემდა რწმუნებულს თელავის სობოროში და იხილეთ კოშაროვისაგან ხელმეორეთ გასხლებული სხვა და სხვა წმინდანების მშვენიერის ხელოვნობისა ცამეტი ხატი თავისის ჩარჩოებით გამართული. კოშაროვს პირობა ჰქონდა ჩემთან გაეხლებინა ეს ცამეტი ხატი, ხსენებულს ჩარჩოებზედ დაეხატნა ახალი ხატები, და სადაც მოიხდენდა ეს ვარაყ წასმული არშიები მოეხმარებინა. გარდა ამისა მას უნდა დაეხატნა ხელახლად ჯვარცმა მაცხოვრისა, ტაძრის ხატი და სხვაც თუ საჭირო საქმე აღმოჩნდებოდა კანკელში და თავისის სადურგლო მასალით რაც მოუნდებოდა უნდა სულ თვითონ შეესრულებინა. ერთის სიტყვით მას უნდა დაედგა მთელი კანკელი და მე იმაში უნდა მიმეცა ათი თუმანი ფული. ეს ფული სულ წვრილ-წვრილად მუშაობის დროს ჩავაბარე მხატვარ კოშაროვს, რომლისაგანაც არ მოველოდებოდი დატყუებას და ღალატს, ამიტომ რომ ყოველ დღე თავს ვედექი და მქონდა მასზედა მრიელ დარწმუნებული გული. ამ ფულზედაც თუ ეჭვით ხართ უფ. ხ—ზო, მობრძანდით ჰკითხეთ თვით კოშაროვს თუ არ მიუღია სრულებით ჩემგნით ათი თუმანი და თუ ის გასძლებს ამაზედ მომატებულად უსვინიდისო და უარს ჰყოფს, მაშინ მე ვარ მზღველი. (მაინც უნდა ვზღა და მაინც, როგორც ჰზღა ყვარლის ბლაღოჩინმა 150 მანეთი, რომელიც მზგავსად ჩემისა მოატყუა ისევ კოშაროვმა და არ გაუკეთა საქმე ხოლო ფული კი სრულებით მიიღო ბლაღოჩინის ხუცესისაგან); ჰკითხეთ....*)

ამასთანავე უფ. ხ—ზო მოგახსენებთ, რომ აი ამ ერთის კვირის წინათ თელავში ვიპოვნე კოშაროვის სიმამრისაგან თავის საჭიროებისათვის დაგირავებული ზაქარია ტერსააკოვის დუქანში ის ჩარჩოები, რომლებიც ზემოთ მოგახსენეთ რომ ერთად ცამეტ ხატთან მოვიპოვე მეთქი და რომლებსაც იქამდისინ მიმალავდა შაქარო ბეგიჯანოვი და იძახდა, რომ არ ვიცი რა უყო ჩემმა სიძემ ის ნივთები როცა თბილისში წავიდაო. დანაშთენი ფული 69 მან. 82 კ. თუ გაქვსთ ვისგანმე მოჩდობილი და მასზედა მონიჭებული უფლება შეგიძლიანთ უფ. ხ—ზო მობრძანდეთ და იკითხოთ თუნდ ჩემ ჯიბეში და თუნდ კურდღელაურის შტატის თომა მოციქულის ეკკლესიის კრუჟკაში.

თელავის ბლაღოჩინი მღვ. სოლომონ ფირანოვი.

---

*) აქ დედანში დასახელებულნი არიან ზოგიერთნი გვარნი, რომელთაც კოშაროვის ბარათით მამა ბლაღოჩინისაგან ფული წაუღიათ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Октября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე

საქმე № 25

შესწორდა!
საქმე № 35